საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/52 „5" იანვარი 2015 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გამოცხადდეს კონკურსი სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 4 საშტატო ერთეული;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 4 საშტატო ერთეული;

დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ე) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ვ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ზ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

თ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 5 საშტატო ერთეული;

ი) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 2 საშტატო ერთეული;

კ) ამბროლაურის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ლ) ახალქალაქის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

მ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ნ) ბოლნისის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ო) გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

პ) ზესტაფონის რაიონული სასამართლო - 2 საშტატო ერთეული;

ჟ) თელავის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ს) სამტრედიის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ტ) საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჭიათურის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

უ) სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ფ) ფოთის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ხობის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ქ) ცაგერის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ღ) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ხულოს მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება განხორციელდეს 2015 წლის 8 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი